GNOMON WISEN

ანგარიში - 2023

ძვირფასო მკითხველო,

2023 წლის მიწურულს უდიდესი შესაძლებლობების საზღვარი გადაკვეთა საქართველომ და დღეს იმაზე უფრო ახლოს ვართ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნების აღსრულებასთან - ვიყოთ ევროპული ოჯახის ნაწილი - ვიდრე არასდროს. სწორედ ამიტომ გვინდა, წლის შეჯამება მოლოცვითა და საერთო დღესასწაულის გაზიარებით დავიწყოთ.

გილოცავთ ევროპული კავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას!

ევროპულ კავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებას ვულოცავთ ჩვენს მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოებს. განსაკუთრებულ პატივისცემას ვაფიქსირებთ უკრაინის სახელმწიფოს მიმართ, რომლის ბრძოლის, თავისუფლებისადმი თავდადებისა და სიყვარულის გარეშე, ევროპული პერსპექტივაც კი ძალიან შორეულ მომავლად გამოიყურებოდა.

გამოწვევებითა და შიდა თუ გარე ტექტონიკური ძვრებით სავსე იყო 2023 წელი. საზოგადოების თითოეულ წევრსა და აქტორს მნიშვნელოვანი როლი გვქონდა, გვემსახურა და დაგვეცვა საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა და ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებები, რომელთა მიმართ ერთგულებაც საქართველოს საზოგადოებამ არაერთხელ მკაფიოდ დააფიქსირა.

კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise 2023 წელსაც იყო ამ ღირებულებების ერთგული და გულმხურვალე მხარდამჭერი. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვცდილობდით სანდო და კვალიფიციური კვლევებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ანალიტიკური სტატიებით, საჯარო დისკუსიებით, ადგილობრივ, რეგიონულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობით - მრავალმხრივი მიმართულებით გაგვეძლიერებინა საქართველოს სახელმწიფო და წვლილი შეგვეტანა მის დემოკრატიულ ტრანზიციაში, ევროპულ კავშირთან დაახლოებასა და ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობაში.

ამ გზაზე განსაკუთრებულ მოტივაციას გვაძლევდა ჩვენი მკითხველი - ჩვენი საზოგადოება და პარტნიორები. Gnomon Wise მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მცირე წვლილი მაინც შეიტანეს ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობაში.

წინამდებარე დოკუმენტში მოკლედ წარმოგიდგენთ იმ ძირითად აქტივობებს, რომლებიც Gnomon Wise-ის გუნდმა 2023 წლის განმავლობაში განახორციელა.

ჩვენ ვრჩებით დემოკრატიული ღირებულებების ერთგულნი და ვაგრძელებთ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ზრუნვას.

კეთილი სურვილებით,

Gnomon Wise-ის გუნდი

კვლევა

„დასაქმება საჯარო სექტორში - ემპირიული ანალიზი“

ავტორი: ეგნატე შამუგია - 19/01/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: ნაშრომის მიზანია, საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმების დონის შეფასება და ამ უკანასკნელში სამუშაო ადგილების შექმნის ფაქტორების შესწავლა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საჯარო სექტორში დასაქმება გაზრდილია და მისი წილი მთლიან დასაქმებაში, საშუალოდ, 22.5%-ია. აღნიშნული კი მთავრობის რეალური დანახარჯების, მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ოდენობის გათვალისწინებით, მაღალია, რადგან საქართველოს მსგავსი რიგი ქვეყნები საჯარო სერვისების მიწოდებას შედარებით ნაკლები ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფენ. მეორე მხრივ, ნაშრომში, რეგრესული ანალიზის საშუალებით, ნაჩვენებია სექტორში სამუშაო ადგილების შექმნის ფაქტორები. ასეთი ფაქტორი პოლიტიკოსების მიერ რენტის ძიება - გავლენიანი ჯგუფებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ასეთი რამ კი უფრო მეტად ხდება დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ნაკლებობის მქონე ქვეყნებში.

„მთავრობის სტრატკომების საჯარო კომუნიკაცია - როცა სტრატეგია და პრაქტიკული საქმიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა“

ავტორი: დავით ქუტიძე - 31/01/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: თანამედროვე სამყაროში, საინფორმაციო წყაროებისა და ინფორმაციის მოცულობის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან გამკლავება. ბუნებრივია, ეს გამოწვევა ეხება საქართველოსაც. მეტიც, წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულად დახვეწილი და მავნე პროპაგანდის პირდაპირი სამიზნეა. ის ერთ-ერთი პირველია, ვინც თანამედროვე რუსული პროპაგანდის მსხვერპლი ჯერ კიდევ 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს გახდა. ამასთან, წლების განმავლობაში, რუსეთთან აფილირებული წყაროებიდან მოდის უამრავი გამოგონილი, განზრახ დამახინჯებული და პროპაგანდისტული გზავნილებით გაჯერებული ისტორია, რომელთა აშკარა მიზანი ანტიდასავლური (აშშ-ის, ევროპისა და დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია) განწყობების გაღვივებაა, რითაც რუსეთი საქართველოს გაცხადებული არჩევანისთვის - დასავლეთთან ინტეგრაციისთვის - ხელის შეშლას ცდილობს. აღნიშნული მცდელობები აღიარებულია და ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად არის დასახელებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ანგარიშებში. ამასთან, სუს-ი არ არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც თავის დოკუმენტებში რუსულ ჰიბრიდულ საფრთხეებზე საუბრობს. ამდენად, კვლევაში განხილულია სამთავრობო ორგანიზაციის სტრატეგიები თუ ანგარიშები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ამ გამოწვევაზე და მასთან ბრძოლის აუცილებლობას ხაზს უსვამს. ამის პარალელურად კი გააანალიზებულია, თუ რამდენად სრულდება აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტები პრაქტიკაში.

„საჯარო სექტორის ემპირიული ანალიზი - მთავრობის ზომის შეფასება და მისი გავლენა ეკონომიკაზე“

ავტორი: ეგნატე შამუგია - 10/03/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: წლების განმავლობაში, საქართველოში მთავრობის ზომის საკითხი აქტუალურობას არ კარგავს. ორი ათწლეულის წინ, ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული პოლიტიკური ძალის გაცხადებულ მიმართულებას წარმოადგენდა მთავრობის ზომის შემცირება, რომელმაც აქტუალობა მომდევნო წლებში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც, შეინარჩუნა. მოქმედი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მთავრობის ზომის შემცირების პოლიტიკური ნება მკაფიოდ IX მოწვევის პარლამენტის მიერ განხილულ, 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში გამოვლინდა. სამთავრობო პროგრამის არაერთი თავი სწორედ მცირე მთავრობის იდეას ეთმობოდა. პროგრამის მიხედვით, მცირე მთავრობის ხედვა სტრუქტურულ ოპტიმიზაციას და ფისკალური პარამეტრების ცვლილებას (მმართველობითი ხარჯების რეალური კლება) გულისხმობდა.

2018-2020 წლებში სხვადახვა სახის ცვლილება განხორციელდა, კერძოდ, მთავრობის სტრუქტურული ცვლილება, რომლის შედეგადაც რამდენიმე სამინისტრო გაერთიანდა. მთავრობის ზომის რეალური შემცირება მომდევნო წლების ფისკალურ და შრომის ბაზრის პარამეტრებში უნდა ასახულიყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანია, ემპირიულად შეისწავლოს ფისკალური პარამეტრების დინამიკა და საჯარო სექტორის მიერ სამუშაო ძალის დასაქმების ტენდენცია.

„ბოლო ათწლეულის რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება, რომლებმაც ქართული მედია შეასუსტეს“

ავტორი: დავით ქუტიძე - 07/04/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: 2012 წელს (საქართველოს ისტორიაში პირველად), ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის შემდეგ, გაჩნდა ქვეყნის დემოკრატიული ტრანზიციის პროცესის მეტად გაღრმავების შესაძლებლობა. პროგრესი, სხვა სფეროებთან ერთად, უნდა ასახულიყო მედიის თავისუფლების ხარისხზეც, რომელიც დემოკრატიის კონსოლიდაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა. „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ წლებში, მედიის თავისუფლების მიმართულებით, აშკარად დადებითი ტენდენცია შეიმჩნეოდა. თუმცა ეს ტენდენცია მალევე შეჩერდა, განსაკუთრებით, აღნიშნული პარტიის მეორე ვადით (საკონსტიტუციო უმრავლესობით პარლამენტში) არჩევის შემდგომ. „ოცნების“ მმართველობის მესამე ვადაში კი საქართველოში მედიის თავისუფლება წლიდან წლამდე უარესდება. აღნიშნულს ნათლად აჩვენებს საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მედიის თავისუფლების ინდექსებიც, რომლებშიც მაჩვენებლები უარესდება და საქართველო კარგავს პოზიციებს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებით. მედიის თავისუფლების ხარისხის შემცირების განმაპირობებელ არაერთ ფაქტორს შორის, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სადავო საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომლებმაც შეასუსტა მედიასაშუალებების როგორც ფინანსური მდგრადობა, ისე მათი დამოუკიდებლობის ხარისხი. წინამდებარე კვლევის მიზანია, მიმოიხილოს სწორედ ამ რეგულაციებისა და მათი პოტენციური თუ უკვე დამდგარი უარყოფითი ეფექტები.

„ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში“

ავტორი: თამარ ქეცბაია - 25/05/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთობა ორ ათწლეულზე მეტს ითვლის. ამ პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ ათასობით საჩივარი შევიდა. მიმართვიანობა კონვენციის რატიფიცირების პირველივე წლებიდან თვალშისაცემი იყო, თუმცა პიკს 2008 წელს მიაღწია. 2013 წლიდან კი, წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა შეტანილ საჩივართა რაოდენობა, რაც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა აქტორებში დიდ ინტერესს იწვევს.

რამდენადაც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საჩივართა რაოდენობის ცვლილების გამომწვევი მიზეზები ამ დრომდე შესწავლილი არ ყოფილა და არსებული ცოდნით შეუძლებელია ევროპულ სასამართლოში საქართველოს მაჩვენებლების ცვლილების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე საუბარი, კვლევის მიზანს სწორედ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმეთა დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა წარმოადგენს. ამასთან, კვლევაში ცალკე თავი ეთმობა ისეთი ეგზოგენური ფაქტორების შესწავლას, როგორებიცაა თავად ევროპულ სასამართლოში განხორციელებული რეფორმები, რომელთაც პირდაპირი გავლენა იქონიეს ზოგადად სასამართლოში წარმოებულ საქმეთა დინამიკაზე.

კვლევით დასტურდება, რომ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა დინამიკას განსაზღვრავს როგორც ენდოგენური ფაქტორები (მათ შორის, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, სხვადასხვა დროს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გადადგმული ნაბიჯები), ისე სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ეგზოგენურ ფაქტორთა განსაკუთრებით დიდი გავლენა. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეგზოგენური ფაქტორი, 2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ მართული კამპანიაა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს წინააღმდეგ 3300-ზე მეტი საჩივარი (რაც საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე შეტანილ საჩივართა თითქმის 50%-ს შეადგენს) შევიდა, თუმცა სასამართლოს მიერ ყველა მათგანი ამოირიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან ან დაუშვებლად იქნა ცნობილი.

„ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მიერ სამართლის უზენაესობის ბოროტად გამოყენების გამოვლენის პრობლემები - მეთოდოლოგიური საკითხები“

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 15/06/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სამართლის უზენაესობის ბოროტად გამოყენების საკითხის მნიშვნელობის წარმოჩენა ევროპის საბჭოს ინსტიტუტების პერსპექტივიდან, მეორე მხრივ, იმ თეორიული და იურისპრუდენციული სირთულეების დემონსტრირება, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით კვლევის დროს იქმნება.
თავისთავად, ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ კონვენციის ღირებულებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტის - მე-18 მუხლის - ავტორიტეტული სტანდარტი საქართველოს წინააღმდეგ საქმეში დაადგინა, მყარ საფუძველს იძლევა, რომ სიღრმისეულად იყოს გამოკვლეული საქართველოში ევროპული კონვენციის ღირებულებების, მათ შორის, სამართლის უზენაესობის ბოროტად გამოყენების პრაქტიკები და ამ პრაქტიკებზე ევროპის საბჭოს ინსტიტუტების პასუხები.
შესაბამისად, წინამდებარე სტატიას შეუძლია გასწიოს მეთოდოლოგიური შესავლის ფუნქცია კვლევებისთვის, რომლებიც საქართველოს მიერ სამართლის უზენაესობის ბოროტად გამოყენების პრაქტიკებს შეისწავლის, ერთი მხრივ, ვენეციის კომისიის მოსაზრებების, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის საფუძველზე.

„საქართველოს ეროვნული ბანკის გავლენა ბანკების მომგებიანობაზე - ემპირიული ანალიზი“

ავტორი: ეგნატე შამუგია - 17/07/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველოს საბანკო სექტორი მაღალი მომგებიანობით გამოირჩევა. მაშინ, როცა პანდემიის პერიოდში ეკონომიკა შემცირდა, საბანკო სექტორმა საანგარიშო პერიოდი წმინდა მოგებით დაასრულა, რაც მომდევნო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა და რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. ამავე პერიოდში, სამომხმარებლო ფასების ზრდა - ინფლაციაც მაღალი იყო. წელიწადნახევრიან პერიოდში, ინფლაცია ორნიშნა მაჩვენებელზე რჩებოდა. აღნიშნულს ფართომასშტაბიანი მონეტარული შემსუბუქება უძღოდა. აქედან გამომდინარე, 1999 წლის პირველი კვარტლიდან 2023 წლის პირველი კვარტლის პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით, ემპირიულად შევისწავლეთ საქართველოს საბანკო სექტორის მომგებიანობაზე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გავლენა. ჩვენი ანალიზის შედეგები მკაფიო და მძლავრი მტკიცებულებაა, რომ მონეტარულ პოლიტიკას გავლენა აქვს ბანკების მომგებიანობაზე. კერძოდ, შედეგები აჩვენებს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება საბანკო სექტორის მომგებიანობას ზრდის. ამასთან, ემპირიული ანალიზით გამოვლინდა, რომ კომერციული ბანკების მომგებიანობა პროციკლურია, მაგრამ არა - სესხების ნაწილში. ეს კი, გამოშვების ბუნებრივზე მაღალი დონის პირობებში, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით აიხსნება. პოლიტიკის გამკაცრება კი დაკრედიტებაზე უარყოფითად აისახება.

„საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა - ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე“

ავტორები: დავით ზედელაშვილი, თამარ ქეცბაია, ზვიად ხორგუაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე და გიორგი ლელუაშვილი - 18/12/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: ნაშრომი შეისწავლის პლებისციტური ბელადის დემოკრატიის პოლიტიკურ რეჟიმსა და მასში არჩევნების როლს და შესაბამის თეორიულ ჩარჩოს საქართველოს კონტექსტს მიუსადაგებს. ამ ტიპის რეჟიმში, პლებისციტური ლეგიტიმაცია მოიპოვება არჩევნების გზით, სადაც სტრუქტურულად ხელშეწყობილია ძალაუფლების შენარჩუნება ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით. აღნიშნული შედეგის მიღწევის სისტემური ინსტრუმენტი მანდატების ბონუსია.

ნაშრომის თანახმად, საქართველოში ლიბერალური (კონსტიტუციური) დემოკრატიის ჩარჩოში მოქმედებს სწორედ ილიბერალური, კერძოდ, პლებისციტური ბელადის დემოკრატიის რეჟიმი. შესაბამისად, ნაშრომში დაწვრილებით არის გამოკვლეული საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემის მიერ მანდატების ბონუსის წარმოება, რაც ტოვებს შესაძლებლობას, რომ მმართველმა ძალამ, ამომრჩეველთა ფარდობითი უმრავლესობის მხარდაჭერით, შეინარჩუნოს მანდატების უმრავლესობა, ხოლო ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით, კონსტიტუციის გადასინჯვის ძალაუფლება მიიღოს.

ნაშრომის მიგნებით, 2020 წლის ჩათვლით, მანდატების ბონუსი საქართველოს პარლამენტის არჩევნებში იწარმოებოდა პარალელური საარჩევნო სისტემის მეშვეობით. 2024 წლიდან ასამოქმედებელ პროპორციულ სისტემაში კი ამგვარ ბონუსს ქმნის გამორიცხვის 5%-იანი ბარიერის, საარჩევნო ბლოკების აკრძალვისა და მორჩენილი მანდატების განაწილების წესის კუმულაციური ეფექტი. ამასთან, ნაშრომის მთავარი მიგნების მიხედვით, მანდატების ასეთი ბონუსი არ ემსახურება არც საპარლამენტო უმრავლესობის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების და არც სტაბილური მმართველობის უზრუნველყოფის კონსტიტუციურ მიზნებს. სინამდვილეში, მანდატების ბონუსი ხელს უშლის პოლიტიკური პლურალიზმისა და კონსოლიდირებული, ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების გაზიარების დემოკრატიული პრაქტიკის მიღწევას და მისი მიზანია, მოემსახუროს პლებისციტური ბელადის დემოკრატიის მოთხოვნებს.

ამრიგად, ნაშრომის დასკვნით, საარჩევნო სისტემა რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან (თუმცა - არა ერთადერთ) წინაღობად პლებისციტური ბელადის დემოკრატიიდან კონსოლიდირებულ კონსტიტუციურ დემოკრატიად საქართველოს ტრანსფორმაციის გზაზე.

„სამაუწყებლო მედიისთვის ფინანსურად და შინაარსობრივად დამაზიანებელი რეგულაციები და მათი ალტერნატივები“

ავტორები: დავით ქუტიძე და მალხაზ რეხვიაშვილი

18/10/2023 (იხ. ბმული)

აბსტრაქტი: საქართველო, კონსტიტუციის მიხედვით, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას სახელმწიფოს მიზნად აცხადებს და ამ კონტექსტში, მედიის თავისუფლება ქვეყნის ევროინტეგრაციის ერთ-ერთ წინაპირობად იქცა. საქართველოს სახელმწიფომ მედია, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის აუცილებელი წინაპირობა, ჯერ კიდევ 1921 წელს დაინახა და 21 თებერვლის კონსტიტუციაში ბეჭდვით აზრის გამოხატვის თავისუფლება ცალკე მუხლად ასახა. შესაბამისად, როგორც ისტორიულად, ისე მიმდინარე მოვლენების კონტექსტის გათვალისწინებით, მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საქართველოს დემოკრატიულ და ევროპულ ქვეყნად ფორმირებაში.

საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პირველი პრეცედენტი 2012 წელს შეიქმნა. ამგვარ დემოკრატიულ პროცესს პოზიტიური მოლოდინების გაძლიერება მოჰყვა და შეიძლება ითქვას, ათი წლის თავზე, ქვეყანა ევროკავშირში ინტეგრაციის ზღურბლზე აღმოჩნდა. თუმცა, გასული ათი წლის განმავლობაში, მედიის მდგომარეობის გაუმჯობესება უწყვეტი პროცესი არ ყოფილა. სხვადასხვა რეიტინგით, რომლებითაც მედიის თავისუფლების ხარისხზე დაკვირვება შეიძლება, მტკიცდება, რომ საქართველო, აღნიშნული პერიოდის პირველ წლებში, პროგრესირდებოდა, შემდეგ სტაგნაციის ფაზაში შევიდა და ბოლოს უკუსვლა დაიწყო.

წინამდებარე დოკუმენტის ფოკუსს ის საკანონმდებლო რეგულაციები წარმოადგენს, რომლებმაც მედიის თავისუფლება სხვადასხვა ფორმით შეზღუდა. დოკუმენტში, უშუალოდ გასულ ათ წელში მიღებული კანონების გარდა, განხილულია ის რეგულაციებიც, რომლებიც უფრო ადრეა შემოღებული, თუმცა ისინი მედიის შეზღუდვისთვის ჩვენ მიერ გაანალიზებულ პერიოდში გამოიყენეს. ამასთან, გაგიზიარებთ ხედვას, როგორ უნდა განვითარდეს პროცესები და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მომავალში, რათა მედიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება საკანონმდებლო დონეზე იყოს უზრუნველყოფილი.

„საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური რეკონსტრუქცია შედარებით პერსპექტივაში“

ავტორები: დავით ზედელაშვილი, თამარ ქეცბაია, ანა ჭიაბრიშვილი

01/11/2023 (იხ. ბმული)

დოკუმენტი შეიქმნა ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

აბსტრაქტი: ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოში სასამართლო ხელისუფლების დისფუნქციის და კონსტიტუციური დემოკრატიის ნორმატიულ მიზნებთან აცდენის გამომწვევი ინსტიტუციური და სტრუქტურული მიზეზები. ამ მიზეზთა გამოკვლევის შემდეგ, ნაშრომი წარმოგვიდგენს სასამართლოს ინსტიტუციური რეკონსტრუქციის ზოგად კონცეფციას და მის ფარგლებში ცალკეულ შესაძლო ალტერნატივებს.

კვლევის ცენტრალური მიგნებით, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური პრობლემა არის ვერტიკალურად ინტეგრირებული ძალაუფლება, რომელიც ერთი ინსტიტუტის (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს) და მისი მაკონტროლებელი სამოსამართლო ელიტის ხელში მოაქცევს სასამართლო შტოს სრულ ძალაუფლებას. ვერტიკალურად ინტეგრირებული, სრული ძალაუფლების დეცენტრალიზაცია/დეკონცენტრაცია არის შემოთავაზებული ინსტიტუციური რეკონსტრუქციის კონცეფციის საკვანძო იმპერატივი. დეცენტრალიზაცია/დეკონცენტრაცია გულისხმობს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ უნდა ჰქონდეს ერთდროულად მოსამართლეთა დანიშვნის, მათი კარიერის მართვის, ანგარიშვალდებულების (თანამდებობიდან გათავისუფლების ჩათვლით) და სასამართლოს ადმინისტრირების ფუნქციებზე კონტროლი. ამ მიზნის მიღწევის პირდაპირი ინსტიტუციური გზა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებული ფორმის გაუქმებაა. რეფორმის ზოგადი კონცეფცია გვთავაზობს შესაძლო ინსტიტუციური გადაწყვეტის ალტერნატივებს დეცენტრალიზაციის ზოგადი სისტემური მიზნის განსახორციელებლად.

„რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა - რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკისთვის“
ავტორი: დავით ქუტიძე
16/03/2023 (იხ. ბმული)

დეზინფორმაცია, გამოგონილი ახალი ამბები და საზოგადოების აზრით მანიპულირების მცდელობები, შეიძლება ითქვას, ყველა ეპოქაში არსებობდა, თუმცა თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის გავრცელების გამარტივებამ ეს პრობლემა ბევრად უფრო მწვავედ წარმოაჩინა. დასავლური საზოგადოებისთვის ეს გამოწვევა განსაკუთრებით ცხადი გახდა 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელშიც რუსული პროპაგანდის მანქანის აქტიური ჩარევა გამოვლინდა. ბევრ სხვა ქვეყანასთან ერთად, თანამედროვე რუსული პროპაგანდის სამიზნეა საქართველოც. ბოლო ათწლეულში ამ საფრთხის შესახებ უამრავი ნაშრომი გამოქვეყნდა, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის მიერ. როგორც შესაბამისი წყაროების ანალიზი აჩვენებს, ამ საკითხზე კარგადაა ინფორმირებული საქართველოს ხელისუფლებაც. ეს ვლინდება მთავრობის სხვადასხვა უწყების არაერთ სტრატეგიასა თუ ანგარიშში. 2018 წელს კი სამინისტროებში შეიქმნა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები, რომელთა ყოველდღიურ საქმიანობასაც რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, როგორც აღნიშნული სტრატკომების საჯარო კომუნიკაციასა და პოზიციონირებაზე დაკვირვებამ აჩვენა, ისინი არა რუსულ დეზინფორმაციას, არამედ, უმეტესად, ქვეყნის შიგნით მოქმედ, ხელისუფლებისადმი კრიტიკულ მედიას ებრძვიან. ამ დროს კი დასავლურ დემოკრატიებში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ როგორ, რა პოლიტიკით უნდა დაუპირისპირდნენ ხელისუფლებები კრემლის დეზინფორმაციას.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვა მკვლევრის მიერ რუსული პროპაგანდის ანალიზის შედეგად დაგროვდა. ბუნებრივია, ყველა მათგანის ქართულ რეალობაში პირდაპირ გადმოტანა არასწორი იქნება, თუმცა ეს დოკუმენტი ერთგვარი ფართო ხედვაა იმისა, თუ რა მიმართულებით შეიძლება წარიმართოს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა შესაბამისი ნების არსებობის პირობებში.

„პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია“
ავტორი: ეგნატე შამუგია
22/05/2023 (იხ. ბმული)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან უკვე სამი ათწლეული გავიდა. თუმცა მმართველობის კუთხით სათანადო ცვლილები არ განხორციელებულა. ზოგადად, საქართველოში ინსტიტუციური გარდაქმნის პროცესი დროში გაჭიანურდა და რიგი პრობლემური საკითხებით ხასიათდება. ამავდროულად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობა იმ საკითხთა შორისაა, რომლებიც ტრანზიციის ზოგად პროცესს ჩამორჩება.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, თვითმმართველობის რეფორმა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. მათგან თითქმის ყველა ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. შეიძლება ითქვას, რომ, სინამდვილეში, ყველა ეტაპი ანტირეფორმაა, რადგან მათი მიზანი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოდერნიზება, პოლიტიკური ძალაუფლების რეალური დეცენტრალიზაცია და ინსტიტუციური გარდაქმნა არ ყოფილა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების გზას ადგას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია საქართველოში ეფექტიანი მმართველობითი სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ანალიტიკა

„საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ტოტალიტარული იმპერიალიზმი და ნაციონალიზმი“
ავტორი: დავით ზედელაშვილი
01/27/2023 (იხ. ბმული)

„მედია წიგნიერება - დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტი“
ავტორი: გიორგი ბაწაშვილი
01/02/2023 (იხ. ბმული)

„სტატისტიკის სწორად წაკითხვის და გააზრების მნიშვნელობა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაგალითი“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
22/03/2023 (იხ. ბმული)

„ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია და მოსახლეობის განწყობები“
ავტორი: ეგნატე შამუგია
31/03/2023 (იხ. ბმული)

„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მისი მნიშვნელობა“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
03/04/2023 (იხ. ბმული)

„ომისა და პოლიტიკის გავლენა ქართული ლარისა და სომხური დრამის კურსზე“
ავტორი: ეგნატე შამუგია
03/05/2023 (იხ. ბმული)

„ეროვნული ბანკის სანდობაა“
ავტორი: ეგნატე შამუგია
10/05/2023 (იხ. ბმული)

„სასამართლოს მიმართ ნდობა“
ავტორი: თამარ ქეცბაია
02/06/2023 (იხ. ბმული)

„ნეოფეოდალიზმი და ძალადობის განკერძოების პარადოქსი“
ავტორი: დავით ზედელაშვილი
21/07/2023 (იხ. ბმული)

„არაორდინალური სავალუტო ინტერვენციები და ინფლაციის მოლოდინი“
ავტორი: ეგნატე შამუგია
07/09/2023 (იხ. ბმული)

„კანონგარეშე აქტორების სამართლებრივი სტრატეგიები მიზნობრივი ცალმხრივი სანქციების წინააღმდეგ“
ავტორი: დავით ზედელაშვილი
22/09/2023 (იხ. ბმული)

ანალიტიკა

- **„უკრაინის სტრატეგიული კომუნიკაცია რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ“**
  ავტორი: დავით ქუტიძე
  05/10/2023 (იხ. ბმული)

- **„სასამართლოს ღიაობა და გამჭვირვალობა - ახირება თუ მართლმსაჯულების აუცილებელი პირობა?!“**
  ავტორი: თამარ ქეცბაია
  12/10/2023 (იხ. ბმული)

- **„საყოველთაო ჯანდაცვა - უძირო ქვევრი“**
  ავტორი: ეგნატე შამუგია
  23/10/2023 (იხ. ბმული)

- **„იმპიჩირებადის“ არქეოლოგია: რას აღმოვაჩენთ მიტაცებული სასამართლოს იურისპრუდენციაში“**
  ავტორი: დავით ზედელაშვილი
  25/10/2023 (იხ. ბმული)

- **„პოლონეთის 2023 წლის არჩევნები და ილიბერალური დემოკრატიის შიგნიდან რღვევის შესაძლებლობა“**
  ავტორი: დავით ზედელაშვილი
  14/11/2023 (იხ. ბმული)

- **„შაქრის პროტექციონიზმის დანაკარგი“**
  ავტორი: ეგნატე შამუგია
  15/11/2023 (იხ. ბმული)

- **„კომუნიკაციების კომისია ევროკომისიის რეკომენდაციებში - კითხვები მისი დამოუკიდებლობის შესახებ“**
  ავტორი: დავით ქუტიძე
  27/11/2023 (იხ. ბმული)

- **„მე-11 პრიორიტეტული ამოცანის შესრულებით კმაყოფილი ევროკავშირი“**
  ავტორი: თამარ ქეცბაია
  08/12/2023 (იხ. ბმული)

- **„სამართლებრივი კონსტიტუციონალიზმი საკონსტიტუციო კონტროლის ერთი სასამართლო ინსტიტუტის გარეშე“**
  ავტორი: დავით ზედელაშვილი
  14/12/2023 (იხ. ბმული)

- **„რა არის „მედიის ეფექტური კონტროლი“ და გვაქვს, თუ - არა მისი ნიშნები საქართველოში?“**
  ავტორი: დავით ქუტიძე
  20/12/2023 (იხ. ბმული)

მიმოხილვა

„კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა“
ავტორი: ეგნატე შამუგია

იხილეთ აპრილი - დეკემბრის პერიოდის მიმოხილვების ბმულები თვეების მიხედვით:
აპრილი; მაისი; ივნისი; ივლისი; აგვისტო; სექტემბერი; ოქტომბერი; ნოემბერი; დეკემბერი.

„საქართველოს აგრარული სექტორის მაჩვენებლებისა და გამოწვევების ანალიზი“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
05/05/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს აგრარული სექტორის მაჩვენებლებისა და გამოწვევების ანალიზი - ნაწილი 2: სამთავრობო პოლიტიკის მიმოხილვა“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
31/05/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს მთავრობის სოციალური პოლიტიკის მიმოხილვა და ანალიზი - ნაწილი 1: საპენსიო სოციალური დახმარება“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
12/06/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს მთავრობის სოციალური პოლიტიკის მიმოხილვა და ანალიზი - ნაწილი 2: მიზნობრივი სოციალური დახმარება“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
26/06/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა და ანალიზი“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
14/07/2023 (იხ. ბმული)

„გაცვლითი კურსის რეჟიმების ისტორიული მიმოხილვა“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
31/07/2023 (იხ. ბმული)

„სავალდებულო საპენსიო სისტემის მიმოხილვა და ანალიზი“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
18/09/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს ერთიანი ბიუჯეტის მიმოხილვა - შემოსავლები“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
09/11/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს საბიუჯეტო მიმოხილვა რეგიონულ ჭრილში“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
29/11/2023 (იხ. ბმული)

„2023 წლის პროინფლაციური მონეტარული პოლიტიკა“
ავტორი: ეგნატე შამუგია
22/12/2023 (იხ. ბმული)

„2023 წლის საქართველოს ეკონომიკის სტატისტიკური მიმოიხილვა“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი
25/12/2023 (იხ. ბმული)

მოსაზრება

„საზოგადოებრივი აზრის კვლევები: პარტიების შესაძლებლობა“
ავტორი: ეგნატე შამუგია - 07/02/2023 (იხ. ბმული)

„რამდენად მკაცრია მონეტარული პოლიტიკა საქართველოში?“
ავტორი: ეგნატე შამუგია - 22/02/2023 (იხ. ბმული)

„სამოსამართლო კლანის სანქციები და არალიბერალური რეჟიმების გარე შეზღუდვები“
ავტორი: დავით ზედელაშვილი - 06/04/2023 (იხ. ბმული)

„დონალდ ტრამპისთვის ბრალის წარდგენა: ლიბერალური დემოკრატიის ეროზია თუ არალიბერალური პერსპექტივის ოპტიკური ეფექტი?“
ავტორი: დავით ზედელაშვილი - 06/04/2023 (იხ. ბმული)

„რატომ არ წარმოადგენს ბანკების გაკოტრება საფრთხეს ეკონომიკური სტაბილურობისთვის“
ავტორი: გიორგი ბაწაშვილი - 28/04/2023 (იხ. ბმული)

„მედიის დისკრედიტაცია - რუსული პროპაგანდის ტაქტიკა და მოტივები“
ავტორი: დავით ქუტიძე - 15/05/2023 (იხ. ბმული)

„შიშის პოლიტიკა - საქართველოს ხელისუფლების მთავარი საყრდენი“
ავტორი: დავით ქუტიძე - 28/06/2023 (იხ. ბმული)

„ოპტიმალური საგადასახადო მოწყობა საქართველოსთვის“
ავტორი: ზვიად ხორგუაშვილი - 28/07/2023 (იხ. ბმული)

„ეროვნული ბანკი არ არის და არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი“
ავტორი: ეგნატე შამუგია - 20/09/2023 (იხ. ბმული)

„რუსეთის ჩრდილქვეშ - რატომ „აღარ გვადარდებს“ ოკუპირებული ტერიტორიები?!“
ავტორი: ირინა გურგენაშვილი - 27/09/2023 (იხ. ბმული)

„კვლევა და განვითარება“

კვლევა და განვითარება Gnomon Wise-ისა და TV BMG-ის ერთობლივი პროექტია, რომელიც 2023 წლის მარტიდან 2023 წლის მაისის თვის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავდა Gnomon Wise-ის კვლევების სატელევიზიო ეთერში განხილვასა და ეკონომიკური გარემოს ანალიზს.

წამყვანი: ირინა გურგენაშვილი - Gnomon Wise-ის აღმასრულებელი დირექტორი

3-თვიან პერიოდში 12 გადაცემა მომზადდა:

„მთავრობის ზომა და მისი გავლენა ეკონომიკაზე“
სტუმარი: ეგნატე შამუგია - Gnomon Wise-ის მკვლევარი
14/03/2023 (იხ. ბმული).

„სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ფორმები და ვალდებულებები“
სტუმარი: ვალერი კვარაცხელია - საქართველოს რეფორმების ასოციაციის მთავარი ეკონომისტი
21/03/2023 (იხ. ბმული).

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - სტატისტიკის შეფასება“
სტუმარი: ზვიად ხორგუაშვილი - Gnomon Wise-ის მკვლევარი
30/03/2023 (იხ. ბმული).

„საპენსიო რეფორმა და მისი მომავალი“
სტუმარი: მიხეილ კუკავა - IDFI-ის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი
04/04/2023 (იხ. ბმული).

„ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია და მოსახლეობის განწყობები“
სტუმარი: ეგნატე შამუგია - Gnomon Wise-ის მკვლევარი
11/04/2023 (იხ. ბმული)

„განათლების ექსპორტი“
სტუმარი: კონსტანტინე თოფურია - საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი; Gnomon Wise-ის აფილირებული მკვლევარი
19/04/2023 (იხ. ბმული)

„სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა“
სტუმარი: თამარ ქეცბაია - Gnomon Wise-ის მკვლევარი
25/04/2023 (იხ. ბმული)

„მედიის ფინანსურად და შინაარსობრივად შემასუსტებელი საკანონმდებლო ცვლილებები“
სტუმარი: დავით ქუტიძე - Gnomon Wise-ის მკვლევარი
02/05/2023 (იხ. ბმული)

„აგრარული სექტორის მაჩვენებლები და გამოწვევები“
სტუმარი: ზვიად ხორგუაშვილი - Gnomon Wise-ის მკვლევარი
09/05/2023 (იხ. ბმული)

„საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე“
სტუმარი: ბესო ნამჩავაძე - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მთავარი ეკონომისტი
16/05/2023 (იხ. ბმული).

„განათლების ექსპორტი - სექტორული განვითარება“
სტუმარი: კონსტანტინე თოფურია - საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი; Gnomon Wise-ის აფილირებული მკვლევარი
23/05/2023 (იხ. ბმული).

„კომერციული მედიაცია - დავის მოგვარების მეტად სწრაფი და ხარჯთეფექტური ალტერნატივა“
სტუმარი: ანა ხურციძე - საქართველოს მედიაციის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი; საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორი; Gnomon Wise-ის პრეზიდენტი
30/05/2023 (იხ. ბმული).

ყოველთვიური ჟურნალი GEOpolitics - იხ. ბმული

GEOpolitics არის Gnomon Wise-ის ყოველთვიური ინგლისურენოვანი ჟურნალი. ჟურნალის მისიაა, ერთიმხრივ, გააძლიეროს საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნება, რომ საქართველო იყოს ევროატლანტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი, ხოლო, მეორე მხრივ, აჩვენოს ჩვენს დასავლელ პარტნიორებს საქართველოს მნიშვნელობა, შესაძლებლობები და გამოცდილება დასავლური ცივილიზაციის განვითარების გზაზე.

GEOpolitics არის ერთ-ერთი პირველი ქართული ჟურნალი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და ის აერთიანებს კონტრიბუტორებს, რომელთაც აქვთ ძალიან დიდი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მიმართულებით.

ჟურნალი არის ერთგვარი ქართული ხმა ცივილიზებულ სამყაროში.

სხვა აქტივობები

სტუდენტური ანალიტიკური ნაშრომების კონკურსი: „ავტოკრატიზაცია დემოკრატიზაციის წინააღმდეგ - გლობალური პროცესები და ადგილობრივი ეფექტები“

2023 წლის 30 მარტს გაიმართა Gnomon Wise-ის მიერ ორგანიზებული ანალიტიკური ნაშრომების კონკურსის დასკვნითი ეტაპი - კონფერენცია. ამ ეტაპზე მოხსენებით წარდგა კონკურსის შედეგად გამოვლენილი სამი გამარჯვებული. საპრიზო ადგილი, კონფერენციის შედეგად, ჟიურიმ გამოავლინა.

I ადგილი - „როგორ სწავლობენ ავტოკრატები ერთმანეთისგან? - უნგრეთისა და რუსეთის მაგალითი“
ავტორი: ნუციკო ძანძავა (იხ. ბმული)

II ადგილი - „მედიის დამორჩილება ავტორიტარიზმში - პარალელები საქართველოსთან“
ავტორი: ვასილ ჟიჟიაშვილი (იხ. ბმული)

III ადგილი - „რუსეთი, ავტორიტარული პოპულიზმი და დემოკრატიული უკუსვლა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში“
ავტორი: ლეილა ჩხეტიანი (იხ. ბმული)

სტატია საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ჟურნალ „ახალ ივერიაში“

2023 წლის მარტი - აპრილის თვეში ჟურნალ „ახალი ივერიის“ მე-3 ნომერში დაიბეჭდა Gnomon Wise-ის მკვლევრების სტატიები.

„როგორ წარმოვაჩინოთ შავი თეთრად და მეგობარი მტრად“ - ავტორი: დავით ქუტიძე (იხ. ბმული)

„ახალი ბატონების შინ მოსვლა - არალიბერალური რეჟიმის საზოგადოებრივი საყრდენების შესახებ“ - ავტორი: დავით ზედელაშვილი (იხ. ბმული)

საერთაშორისო კონფერენცია - ცენტრალური აზიის მე-14 ფორუმი ინტერნეტის თავისუფლების შესახებ - 18-19/05/2023 (იხ. ბმული)

18-19 მაისს, Gnomon Wise-ის მკვლევარი **დავით ქუტიძე,** ყაზახური არასამთავრობო ორგანიზაცია МЦЖ MediaNet-ის მიწვევით, სიტყვით გამოვიდა ცენტრალური აზიის მე-14 ფორუმზე ინტერნეტის თავისუფლების შესახებ. ფორუმი გაიმართა ყაზახეთის ქალაქ ალმათიში.

ფორუმის ერთ-ერთი პანელის ფარგლებში, სახელწოდებით - ინფორმაციული ომები გეოპოლიტიკური კრიზისის დროს - დავით ქუტიძემ ისაუბრა რუსული პროპაგანდის მეთოდებზე, საქართველოში მისი გავრცელების ფორმებსა და იმაზე, თუ როგორ ემსგავსება საქართველოს ხელისუფლების საჯარო კომუნიკაცია რუსული პროპაგანდის ძირითად გზავნილებს.

სტატია ქართულ - გერმანულ კრებულში

2023 წლის 7 ივნისს გამოქვეყნდა „ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის“ ფარგლებში მომზადებული ახალი კრებული - „გერმანულ-ქართული სამართლის დიალოგი - სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები“.

კრებული გამოიცა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა ფინანსური მხარდაჭერით.

კრებულში შესულია Gnomon Wise-ის მკვლევრის, დავით ზედელაშვილის, ნაშრომი: „გამოხატვის თავისუფლება საქართველოში - ძლიერი კონსტიტუციური დაცვის ნაცრისფერი ხვრელები“. (იხ. ბმული)

კვლევითი პროექტი - ხუმრობებში დანახული ბოროტების იმპერია

პროექტი მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის შესახებ არსებული მითების აღმოჩენას და განეიტრალებას. საბჭოთა კავშირის ბოროტების ჩვენებას საზოგადოებისთვის, რაც, ძირითადად, საბჭოთა პერიოდის სოციო-ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების კვლევას გულისხმობს.

პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა Gnomon Wise-ის მკვლევრის, თამარ ქეცბაიას, კვლევითი დოკუმენტი:

„საბჭოთა პოლიტიკური ხუმრობები - სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს“
04/07/2023 (იხ. ბმული)

ასევე, დამზადდა მცირე საინფორმაციო ელექტრონული ბარათები (ე.წ. ქარდები), რომლებზეც ასახულია საბჭოთა ხუმრობები და რომლებითაც გადმოცემულია საბჭოთა იმპერიის ბოროტება (იხ. ბმული).

სტატია საერთაშორისო რეცენზირებად აკადემიურ ჟურნალში

2023 წლის სექტემბრის თვეში, Gnomon Wise-ის მკვლევარის, ეგნატე შამუგიას, სტატია - “Employment in public sector – empirical evidence from Georgia”, გამოქვეყნდა საერთაშორისო რეცენზირებად აკადემიურ ჟურნალ CES Working Papers-ში (CESWP).

ნაშრომი შეისწავლის საქართველოში საჯარო სექტორის დასაქმებას. კერძოდ, საჯარო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნის ფაქტორებს. კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში საჯარო სერვისების მიწოდებაში გადაჭარბებული ადამიანური რესურსია გამოყენებული, რაც პოლიტიკოსების მიერ რენტის ძიების - გავლენიანი ჯგუფებისთვის სამუშაო ადგილების შექმნისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის - შედეგია. აღნიშნულისთვის კი ხელსაყრელი გარემო სამართლის უზენაესობის ნაკლებობაა. (იხ. სტატიის ბმული).

საერთაშორისო სემინარი: Liberalism and Geopolitics

2023 წლის 3 – 10 სექტემბერს ირინა გურგენაშვილი მონაწილეობდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის საერთაშორისო ლიდერობის აკადემიის სემინარში “liberalism and Geopolitics”, გერმანიაში, ქალაქ გუმერსბახში. სემინარში ჩართული იყვნენ მონაწილეები 25 ქვეყნიდან - ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, კვლევითი ინსტიტუტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სემინარის ფარგლებში, მონაწილეები ხვდებოდნენ ევროპის Think tank-ების წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, მკვლევრებს. სემინარზე ირინა გურგენაშვილმა მოხსენება გააკეთა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ - დღეს არსებულ ვითარებასა და საერთაშორისო ჩართულობის ნაკლებობაზე.

სტატია ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ვებჟურნალისთვის

2023 წლის 27 ოქტომბერს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნდა Gnomon Wise-ის მკლევარის დავით ზედელაშვილის სტატია: “Failed Presidential Impeachment Bid and Georgia’s Current Path to European Intergation”. (იხ. ბმული)

პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია - მედიის შემზღუდავი რეგულაციები და მათი ალტერნატივები - იხ. ბმული

2023 წლის 27 ოქტომბერს კვლევითი ინსტიტუტის, Gnomon Wise-ის, კვლევისა და პოლიტიკის დოკუმენტის - „სამაუწყებლო მედიისთვის ფინანსურად და შინაარსობრივად დამაზიანებელი რეგულაციები და მათი ალტერნატივები“ - პრეზენტაცია და საჯარო დისკუსია გაიმართა.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები წარადგინეს კვლევის ავტორებმა: **დავით ქუტიძემ** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და **მალხაზ რეხვიაშვილმა** (Gnomon Wise-ის აფილირებული მკვლევარი). პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

კვლევისა და რეფორმის კონცეფციის პრეზენტაცია - საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური რეკონსტრუქცია - იხ. ბმული

2023 წლის 31 ოქტომბერს აკადემიური კვლევისა და რეფორმების კონცეფციის - **„საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური რეკონსტრუქცია შედარებით პერსპექტივაში“** - პრეზენტაცია და საჯარო დისკუსია გაიმართა.

დოკუმენტი კვლევითმა ინსტიტუტმა Gnomon Wise-მა ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით მოამზადა. ძირითადი მიგნებები წარმოადგინეს კვლევის ხელმძღვანელმა და ავტორმა - **დავით ზედელაშვილმა** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და თანაავტორებმა - **თამარ ქეცბაიამ** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და **ანა ჭიაბრიშვილმა** (საკონსტიტუციო სამართლისა და ადამიანის უფლებების მკვლევარი).

სტატია საკონსტიტუციო საკითხების მნიშვნელოვან ევროპულ აკადემიურ და ჟურნალისტურ ფორუმზე Verfassungsblog-ზე

Gnomon Wise-ის მკვლევრის, **დავით ზედელაშვილის,** სტატია "უცხოელი აგენტების" რუსული კანონპროექტის შესახებ, საკონსტიტუციო საკითხების მნიშვნელოვან ევროპულ აკადემიურ და ჟურნალისტურ ფორუმზე Verfassungsblog. (იხ. ბმული)

ავტორის მოსაზრებით, "უცხოელი აგენტების" კანონპროექტი მოიცავს საზოგადოებაზე დომინაციის პოტენციურად ტოტალიტარულ საშუალებებს. კანონპროექტის ავტორიტარული მიზანმიმართულება იმთავითვე ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის არ ემსახურება არც ერთ ლეგიტიმურ მიზანს, რომელზეც მისი სპონსორები მიუთითებენ. ის ნათლად აჩვენებს, რომ ევროპის კავშირის "რბილმა ძალამ" ივანიშვილის რეჟიმთან მიმართებით თავი ამოწურა. შესაბამისად, ევროპის კავშირში უნდა გაითვალისწინონ, რომ კანდიდატის სტატუსის დაპირება ივანიშვილის რეჟიმს ვერ შეაცვლევინებს მის მიერ არჩეულ ავტოკრატიზაციის რუსულ გზას, რომლისთვისაც "უცხოელი აგენტების" კანონი საკვანძო ინსტრუმენტია.

კონფერენცია - ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგი - სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები

2023 წლის 3-4 ნოემბერს საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის „ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტის“, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისა და კიოლნის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლობის ფარგლებში, გაიმართა კონფერენცია „ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგი - სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები.“

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგა **ეგნატე შამუგია** (Gnomon Wise-ის მკვლევარი), მისი მოხსენება შეეხო სისხლის სამართლის საკანონმდებლო პროცესის ეკონომიკურ ანალიზს: „სისხლის სამართლის საკანონმდებლო პროცესი და ეკონომიკური ანალიზი" (იხ. ბმული).

პრეზენტაცია - „საქართველოს პარლამენტის საარჩევნო სისტემა: ილიბერალური დემოკრატიიდან კონსტიტუციურ დემოკრატიამდე“ (იხ. ბმული)

2023 წლის 18 დეკემბერს გაიმართა Gnomon Wise-ის მიერ მომზადებული კვლევითი დოკუმენტის პრეზენტაცია და საჯარო დისკუსია.

კვლევა წარადგინეს კვლევის ხელმძღვანელმა **დავით ზედელაშვილმა** (Gnomon Wise-ის მკვლევარი) და ავტორებმა: **თამარ ქეცბაიამ** (Gnomon Wise-ის მკვლევარი); **მარიამ ლორთქიფანიძემ** (საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი, საკონსტიტუციო სამართლის მკვლევარი) და **გიორგი ლელუაშვილმა** (საკონსტიტუციო სამართლის მკვლევარი).

კვლევის პრეზენტაციის შემდეგ, ამავე თემაზე, დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ:
გიორგი დავითური (კანონის უზენაესობისა და მედიის თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)).
შოთა ნარსია (უფროსი მკვლევარი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)).

დისკუსია „სასამართლო რეფორმა და ევროპული ინტეგრაცია“

2023 წლის 20 დეკემბერს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამართა დისკუსია: „სასამართლო რეფორმა და ევროპული ინტეგრაცია“.

ღონისძიებაზე, მოხსენებით წარდგა Gnomon Wise-ის მკვლევარი **დავით ზედელაშვილი.**

დავითმა ისაუბრა ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებული სასამართლო რეფორმების შესახებ, აკადემიური და საერთაშორისო სამართლებრივი პერსპექტივიდან, როგორი უნდა იყოს არსებული სასამართლო ხელისუფლების რეკონსტრუქცია ინსტიტუციურ და პერსონალის დონეზე. (იხ. ბმული)

მ. კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველო

www.gnomonwise.org